<u>პროექტი</u>

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება №

---ივნისი 2022 წელი

ქალაქ თბილისში, ისნის რაიონში, თეოდორე უშაკოვის ქუჩის მონაკვეთისთვის, ნავთლუღის დასახლების VIII ქუჩისთვის და მასთან არსებული სამი შესახვევისთვის მომღერლის ოლღა ბახუტაშვილის სახელის მინიჭების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის - "ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 68-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტის, „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის №239 დადგენილებისა და „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის №14-59 დადგენილების თანახმად, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. ისნის რაიონში, თეოდორე უშაკოვის ქუჩის მონაკვეთს, ნავთლუღის დასახლების VIII ქუჩას და მასთან არსებულ სამ შესახვევს მიენიჭოს მომღერლის ოლღა ბახუტაშვილის სახელი, თანდართული რუკის თანახმად.

2. ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ, ოთხი თვის ვადაში, უზრუნველყოს ამ განკარგულების შესასრულებლად საჭირო ღონისძიებების განხორციელება.

3. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64).

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძე

X:487213 Y:4616305
X:487267 Y:4616203
X:487402 Y:4616188
X:487442 Y:4616184
X:487471 Y:4616180
X:487488 Y:4616163
X:487293 Y:4616171
X:487342 Y:4616146
X:487423 Y:4616152
X:487399 Y:4616132
X:487402 Y:4616120
X:487285 Y:4616097
X:487359 Y:4616067
X:487311 Y:4616077
X:487444 Y:4616026
X:487453 Y:4616060
X:487411 Y:4616017
X:487461 Y:4616013
X:487399 Y:4616003
X:487457 Y:4615999
X:487461 Y:4615988
X:487401 Y:4615985
X:487468 Y:4615977
N
1:2,000

ოლღა ბახუტაშვილი-შულგინა

(1879-1950)

მომღერალი, ქართული ვოკალური სკოლის ერთ–ერთი ფუძემდებელი, სოპრანო.

დაიბადა ქუთაისში. 1901 წლის 29 დეკემბერს თბილისის საოპერო სცენაზე შედგა მისი დებიუტი; 1902–1904წწ. მოღვაწეობდა მოსკოვში, 1904–1906წწ. კიევში, 1906–1910წწ. ოდესაში, 1917–1927წწ. იყო თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის სოლისტი; ოლგა ბახუტაშვილი–შულგინა იყო ეთერის(ზ. ფალიაშვილის "აბესალომ და ეთერი") და გულჩინას(დ. არაყიშვილის "მთების გული") როლების პირველი შემსრულებელი; შესრულებული აქვს სოპრანოს მრავალი პარტია: ტატიანა, ლიზა, იოლანტა, მარია(პ. ჩაიკოვსკის "ევგენი ონეგინი", "პიკის ქალი", "იოლანტა", "მაზეპა"), თამარი(ა. რუბინშტეინის "დემონი"), აიდა(ჯ. ვერდის "აიდა"), ბატერფლაი(ჯ. პუჩინის "ჩიო–ჩიო–სანი").

ოლღა ბახუტაშვილი არის პირველი ქართველი მომღერალი ქალი, რომელსაც მიენიჭა საქართველოს სახალხო არტისტის წოდება; პირველი ქართველი პროფესორი ვოკალის დარგში; არის სამეცნიერო–მეთოდური ნაშრომის ავტორი: "ვოკალური პედაგოგიკის ცდა ბგერის დასაყენებელი ყოველდღიური სავარჯიშოების კრებული", "კადენციები და მელიზმები"(1940), "ვოკალიზმები მაღალი ხმისათვის ქართულ ხალხურ თემებზე"(1942). პროფესორი(1921). ქართული ვოკალური სკოლის ერთ–ერთი ფუძემდებელი, სოპრანო.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
TBILISI CITY MUNICIPAL ASSEMBLY

წერილის ნომერი: **03-032214731**
თარიღი: **27/05/2022**

ადრესატი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი ქალაქ თბილისის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო
მისამართი: თბილისი, შარტავას ქ. N7

სააგენტოს უფროსს ბატონ ვიქტორ წილოსანს

ბატონო ვიქტორ,

საქმისწარმოების პროცესის შემდგომი გაგრძელების მიზნით, მოგმართავთ თხოვნით, გამოგვიგზავნოთ თეოდორე უშაკოვისა და ნავთლუღის დასახლების VIII ქუჩის მონაკვეთების სიტუაციური ნახაზები დანართის და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის #14-59 დადგენილების შესაბმისად.

დანართი 3 (სამი) გვერდი.

ნინო ვარდოსანიძე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
სახელდებისა და სიმბოლიკის კომისია-კომისიის
თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო

წერილის ნომერი: **16-01221512819**
თარიღი: **31/05/2022**

ადრესატი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
მისამართი: თავისუფლების მოედანი N2

სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის თავმჯდომარეს

ქ-ნ ნინო ვარდოსანიძეს

მის: თავისუფლების მოედანი #2

ტელ:+995(32)2 15 92 92

ქალბატონო ნინო,

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტომ განიხილა თქვენი 27.05.2022 წლის #03-032214731 (27.05.2022წ. 14-01221473241-16) განცხადება, რომლის პასუხადაც მოთხოვნის შესაბამისად გიგზავნით კარტოგრაფიულ მასალებს არსებული დასახლების, სკვერის, სპორტული მოედნის, გზის, ჩიხების, შესახვევისა და გასასვლელების მითითებით. (იხ. 2 დანართი)

ოთარ ჩიტიძე

სააგენტოს უფროსი (მოვალეობის შემსრულებელი)

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი